№ 151 ივლისი 20, ოთხშაბათი 1888 ივლისი 20, ოთხშაბათი № 151

ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი ღირს

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასმათი

მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ტფილისი, 19 ივლისი

გუშინდელს წერილში ჩვენ რამდენისამე სიტყვით მოვიხსენიეთ საგანი რუსეთისა და გერმანიის იმპერატორის თათბირისა და აგრეთვე ვუამბეთ მკითხველებს, თუ რა ყოფაშია ამ ჟამად ავსტრია. ჩვენ, რასაკვირველია, დაბეჯითებით არა ვიცით-რა იმის შესახებ, თუ რა კვალში ჩააყენეს ევროპის პოლიტიკა ევროპის ორმა უძლიერესმა წარმომადგენელმა. ამის შესახებ ნამდვილს არაფერს იწერებიან და ამიტომ ყველას, ვინც პოლიტიკას თვალ-ყურს ადევნებს, უძლიერდება სურვილი შეიტყოს და გამოიძიოს შედეგი ორის იმპერატორის თათბირისა. რა საშუალებას უნდა მივმართოთ ჩვენის სურვილის დასაკმაყოფილებლად? რადგანაც ნამდვილი არა ვიცით-რა, ამიტომ უნდა შევიტყოთ, თუ რა გზას დაადგა სხვა სახელმწიფოების პოლიტიკა, როგორ იმოქმედა რუსეთისა და გერმანიის იმპერატორების თათბირმა სხვა ქვეყნებზე, რომელთა პოლიტიკას მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთისა და გერმანიის პოლიტიკასთან. ამ აზრის მიხედვით გუშინ მკითხველებს ვუამბეთ ავსტრიის პოლიტიკა, რომელიც წინანდელზე უფრო ჩქარის ნაბიჯითა მსვლელობს. აგრეთვე ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ საფრანგეთიც. ჩვენა ვსთქვით, რომ ამბავი, ვითომ ჰერბერტ ბისმარკი საფრანგეთში მიდის იმ აზრით, რომ თავ-მომწონე რესპუბლიკას იარაღის აყრა მოსთხოვოს და დაავალოსო, დასაჯერებელი არ არისო. მართლაც ვის უნდა მოუვიდეს აზრად საფრანგეთს ეგეთი შეურაცხყოფა მიაყენოს და მოსთხოვოს იარაღის აყრა მაშინ, როდესაც მთელი ევროპა თოფ-იარაღშია ჩამსხდარი.

ეხლა ვნახოთ, რა ყოფაშია დღეს საფრანგეთი და როგორ იმოქმედა ამ იმპერატორების ნახვამ იმის შინაგანსა და გარეგანს პოლიტიკაზე. ის დასი, რომელსაც აზრადა და საგნად ჰქონდა გერმანიისათვის სამაგიერო გადაეხადა, დღეს, როგორც სჩანს, საფრანგეთში მეტად დაქვეითდა. ამ დასის თავი კაცი ბულანჟე ისე დაამარცხეს, რომ ჩრდილოეთის დეპარტამენტის დეპუტატობაზე თვითონვე ხელი აიღო და არდეშის დეპარტამენტშიაც გააშავეს. როგორც სჩანს, ამომრჩევლები დღეს წინანდებურად არ თანაუგრძნობენ ესრედ წოდებულს «რევანშის» პოლიტიკას, გერმანიის წინააღმდეგ მიმართულს. იუწყებიან, რომ საფრანგეთი ამ ბოლო ხანებში მეტს თანაგრძნობას უჩენს ოპორტიუნისტების დასს, სახელდობრ იმ პოლიტიკას, რომელსაც აზრადა აქვს გერმანიასთან კარგი განწყობილება დაიჭიროს. გაზეთები ამბობენ, რომ შესაძლოა მომავალს საპარლამენტო სესიაზე გაიმარჯვოს ჟიულ ფერიმ, რომელსაც ყოველთვის სწამებდნენ მეტს თავაზიანობას გერმანიისადმი. რა არის იმის მიზეზი, რომ საფრანგეთი მზად არის დაადგეს სამშვიდობო პოლიტიკას გერმანიის მიმართ?

ამ ამბავს მეტად ჩაუფიქრებია მწერლობა, რომლის აზრით მოსალოდნელია დიდი ცვლილება სახელმწიფოთა განწყობილებაში. წინასწარმეტყველობენ, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ სხვა პოლიტიკას დაადგებიანო.

მართლადაც, რევანშის მომხრე დასი საბოლოოვოდ დამარცხდა საფრანგეთში და ჟიულ ფერის დასმა გაიმარჯვა. თუ გერმანიამ და საფრანგეთმა ერთმანეთს ხელი გაუწვდინეს, მაშინ ევროპის პოლიტიკა ახალს კვალში უნდა ჩადგეს. საქმე ის არის, თუ რა პირობით გაუწვდენ ერთმანეთს ხელს ორი დაუძინებელი მტერი, რომელთა მოსარიგებლად ერთი და საშუალება არსებობს...

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ კიდევ ერთი ამბავი ტფილისის ჯიბგირებზე. ახირებული ბინა უპოვნიათ ჩვენს ჯიბის ოსტატებს თავისის ხელობის სასპარეზოდ. კუკიის ორსავე ხიდზე ისე ვერ გაივლით, რომ რამდენიმე ეს ვაჟბატონი არ შეგხვდეთ მოსეირნედ. ეს ჯიბგირები დილიდგან შუადღემდე აქ არიან ატუზულნი თურმე, მაღაზიაში იჭყიტებიან, ალა ვინ რას ივაჭრებს, საიდგან ამოიღებს ფულსა და ბლომადა აქვს, თუ არა, რომ შემდეგ ამოცლის საქმე გაიადვილოს. შუადღისას სადილის მისართმევად მიბრძანდებიან და ერთს საათს შემდეგ ისევ იმავე ხიდზე ამოჰყოფენ ხოლმე თავსა და სხვერპლს, საკბილოს ეძებენ. ბინა ახლო აქვსთ, იქვე ფოტოგრაფიის ქვემოთ ვილაც იმერლის ყავახანაში იყრიან თავსა, იქა ჰქეიფობენ მონაპირით და იქვე სჭამენ პურს და სვამენ ღვინოს, თუნდა არა ჰქონდეთ-რა კიდეც, რადგან ყავახანის პატრონი ენდობა, იცის, რომ, დღეს თუ არა, ხვალ იშოვნიან რასმე იმისი ბარაქიანი მუშტრები. კუკიის ხიდზე არიან ჯიბგირები საათის თერთმეტამდე, სწორედ იმ დრომდე, როცა მატარებლები მოდის. გამოვლის თუ არა რომელიმე ახლად ჩამოსული ეტლით კუკიის ხიდზე, მაშინვე გაჰყვებიან უკან. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ხიდების ჩაქცევისათვის ზრუნვა და თავის ტკივილი ამ ვაჟბატონებს თავიანთ სახეიროდ გამოუყენებიათ. იციან, რომ ეტლები ხიდზე კუს ნაბიჯით დადიან და იმათაც ის უნდათ. მიეპარებიან ხოლმე ეტლს და უკანიდგან ხელს უყოფენ იქ მჯდომს ჯიბეში. საკვირველი ამ ამბავში, თითონ ჯიბგირების თავ-გასულობა-კი არა, პოლიციელების უყურადღებობაა. რომელმამე ეტლმა რომ პატარა აჩქარებულად წაიყვანოს ცხენები ხიდზე, მაშინვე პოლიციაში მიათრევენ, და ჯიბგირებს-კი ყურადღებას არ აქცევენ, მით უფრო, რომ პოლიციის მოხელე ვალდებულია ჯიბგირს იცნობდეს, თვალ-ყური ადევნოს და თუ დაინახა ახლო სადმე ორჯელ-სამჯერ ერთს ალაგას ავლილ-ჩავლილი, მაშინვე უნდა აღუკრძალოს ამ საეჭვო ადამიანს ახირებული სეირნობა.

⁂ გუშინ, 19 ივლისს, დილის მატარებლით სხვა ტუსაღებთან ერთად მოიყვანეს ტფილისის გუბერნიის ხაზინადრის თანაშემწე ბ-ნი ივანოვი, რომელმაც ამას წინად ხაზინიდგან რამდენიმე ათასი მანეთი მოიტაცა.

⁂ კვირას, 19 ივლისს, აფიშამ გვაცნობა, რომ ვასილიევის ბაღში საყვარელი სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართავს ქართულს წარმოდგენასაო. წარმოსადგენად დანიშნული იყო ა. ცაგარლის სამ-მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“, მაგრამ ჩვეულებისამებრ არტისტებმა, ფარდის ახდის წინად, გამოაცხადეს, რომ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო „ხანუმას“ ველარ წარმოვადგენთო. ითამაშეს „ბაიყუში“ და რ. ერისთავის ვოდევილი „პარიკმახერისას.“ წარმოდგენამ მეტის-მეტად საძაგლად ჩაიარა. მოთამაშენი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უაზრო მანჭვა-გრეხვაში. თვით საყვარელმა ხომ ყველას გადააჭარბა.

⁂ ამ ჟამად ქალაქის ზოგიერთს მაღაზიებში სხვა-და-სხვა ზომის კალათებსა ჰყიდიან საზღვარ-გარეთიდამ მოტანილს და ისეთი ფასები აქვს, რომ სწორედ გაგიკვირდებათ. ეს კალათები, მართალია, სუფთად ნაქსოვია გაფცქვნილის წნელით და სხვა ხელოვნება-კი არა ეტყობა-რა. ჩვენში რომ ყველაფერი მიყრუებულია და თაოსნობა არ იციან იმის ბრალია, თორემ გურიაში და მეტადრე აჭარაში ისეთს ლამაზს კალათებსა ჰქსოვენ, რომ კაი ფასად გაიყიდებოდა ტფილისში, თუ-კი ვინმე ჩამოიტანდა. ახლა საზღვარ-გარეთის კალათებს ორის მტკაველის ზომისას მანათადა ჰყიდიან და სკივრივით დაწნულს ადლ-ნახევრის ზომისას—სამ-ოთხ მანათად.

⁂ დ. ახალ-ქალაქიდგან გვწერენ: კვირას, 18 ამ თთვისას, დაბა ახალქალაქში მცხოვრებლებმა სცენის მოყვარეებმა, ტფილისის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით, გამართეს წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო „ხანუმა“ ა. ცაგარლისა. ეს წარმოდგენა იყო დანიშნული საქალებო სკოლის დამხმარებელ საზოგადოების განყოფილების სასარგებლოდ, რომელსაც საგნად აქვს ხელი მოუმართოს მოზარდ მოს-

---

ფელეტონი

ბნელო

(მოთხრობა)

XIV*)

მომრიგებელ-სასამართლოში

წითელ მაუდ-გადაფარებულ სტოლს უკან ზის მომრიგებელი მოსამართლე. სტოლს წინ, გრძელ სკამებზე, სხედან მომჩივარნი, მოპასუხენი და საქმის მაძებარი ვექილები. მოსამართლე შესდგომია საქმეს. გაარჩია რამდენიმე საჩივარი და დაიძახა შემდეგ: „თავადი ზაქარია პაატის ძე დიდებულიძე, ილია ზურაბის ძე თვალიაშვილი“.

გავიდა შაქრო და გაჰყვა გაფითრებული ილიაც, რომელსაც მისძახეს:

— რა იყო, ბიჭო, რაზე მოჰკედი, განა შაგკამენ-რა!

— კნიაზო, თქვენ ქურდს რათა ჰფარავთ?—ჰკითხა მსაჯულმა:—ქურდი კანონიერად უნდა დაისაჯოს!

— მე არა ვფარავ, ბატონო, აი აქ არ გახლავთ? მე ჩემი „ვეჰჩების“ ფასი გამოვართვი და თქვენი კიდე თქვენ იცით!

— თქვენ რა მოჰპარეთ ამათ? ჰკითხა მსაჯულმა ილიას.

— არაფერი, შენი ჭირიმე!

— მაშ რას გიჩივის ეს კნიაზი?

— აი როგორ იყო, შენი ჭირიმე.

— ნუგეშინიან ყოჩაღათ ილაპარაკე! წასძახეს უკანიდამ.

მე ჩ—ში გახლდით, შენი ჭირიმე. იქ ერთი იაფინჯ-წამოსხმული კაცი იყო და თქვა, რო ვინც ორ მანათს მომცემს, ამ ჩემ იაფინჯს მივყიდიო. თურმე, ნუ იტყვით, იმ კაც ხუმრობით ეთქვა და მე-კი მართალი მეგონა.

— ცოტა მოკლეთა თქვი!

— ჰო, მოკლეთ მოგახსენებ, შენი ჭირიმე! თურმე იმ კაცს ხუმრობით ეთქვა და მე-კი მართალი მეგონა. წამოვედი და მე კიდე ბიჭებში ვთქვი, ერთი კაცი ესე-ცსე ახალ იაფინჯს ორ მანათათა ჰყიდიდა-მეთქი. ეს კნიაზიც იქა ბძანდებოდა, როცა მე ბიჭებს უთხარ. ამან მითხრა, მე დავკარგე ნაბადი და კიდევ სხვა ნივთებიო, უთოოდ ჩემი იყო ის ნაბადიო, შამიტყე რამეო. მეც ხათრ როგო გაუტეხამდი! წავედი იმ კაცთან და იმან აგრე მითხრა: ვის დაჰკარგვიხარო, რამ გაგაგიჟა, ვილაცა ხარო, შენთან კაცმა ვერ უნდა გაიხუმროსო? მოვედი და კნიაზს მოვახსენე. აი ეგრე იყო, შენი ჭირიმე! რა ვიცი მართლა დაკარგა, არ დაკარგა, ან იმ კაცმა მაიპარა, მე არა ვიცი-რა, შენი ჭირიმე. აბა მე რას ვაქნევდი, რო მეპარა, ეს დალოცვილი რო მე მიჩივის? ერთი საწყალი მარტო კელი კაცი ვარ, ერთი წელიწადია მოვცდი და მოვიშრიტე—ბოლმისაგან ველარაფერი მიწამებია.

— შენ შინაურულად მოურიგდი ამ კნიაზს?

— დიაღ, შენი ჭირიმე, ოთხი თუმანი მიეცი.

— მართლა მოგცათ, კნიაზო, ოთხი თუმანი?

— დიახ, ბატონო, ოთხი თუმანი მომცა!

— შენ რათ მოურიგდი შინაურულად, რათ მიეცი ოთხი თუმანი, თუ არაფერი არ მოგიპარავს ამათი?

— იმიჰთვინ გაუსწორდი შინაურულათ, შენი ჭირიმე, რო მე არ მინდოდა აქ კეტება და მინდოდა თავიდამ მემეცილებინა.

— მაგათ რო გაუსწორდი, ახლა კანონს უნდა გაუსწორდე! მობძანდით, ცოტა ხნის შემდეგ გამოგეცხადებათ.

შაქროცა და ილიაც გარეთ გამოვიდნენ. ერთი სწორ-ამხანაგთაგანი მივიდა ილიასთან და უთხრა:

— ილიავ, მე იგრე ვითარგმანე, რო შენ გაგამართლებს აი!

— კაცო, როცა მართალი ვარ, არ გამამართლებს? მე აქ ამოსვლა მეზარებოდა, თორე! ზოგი რა ხასიათისაა, რო წამ-და-უწუმ მოჩივის აქ, არა ჰწყინდებათ, ნეტავი მითხრა? ჩემი ფეხი-კი ღმერთმა აქ ნულა დადგას!

შემდეგ მივიდა ილიასთან ერთი გაქნილი სომეხი და უთხრა:

— ძმობილო, რატო ატკაზი არა ჰქენ, რათ უთხარი სუდიას შინაურულათ გაუსწორდიო?

— ხო მართალი იყო; რაც მართალია, კაცმა სიმართლე უნდა თქვას.

— მაგისთანა სიმართლე აქ არ გამოდგება, ჩემო ძმაო! უთხრა სომეხმა.

ცოტა არ იყოს ამ სომხის სიტყვებმა ჩააფიქრეს ილია, თუმცა კი სრული იმედი ჰქონდა გამართლებისა. შაქროს კი ეჭირა ხელში პაპიროზი და არხეინად ბოლთასა სცემდა.

მსაჯულმა გაათავა საჩივრების გარჩევა და დასასრულს წაიკითხა გარდაწყვეტილება—ილიას გამოუცხადა რამდენისამე თვით საპატიმროში დატუსაღება. ამასთანავე ისიც გამოუცხადა, რომ იმას შეეძლო გაეტანა გარდაწყვეტილების პირი და საჩივრის გადატანა უმაღლესს სასამართლოში. ამ ნაირმა გამოცხადებამ ილიას წელი მოსწყვიტა—ცოტას მორჩა გუ-

---

*) იხ. „ივერია“ №№ 141, 142, 143, 145, 146, 147, 148 და 150.

წავლე ქალებსა. მაყურებელნი მეტად კმაყოფილნი დარჩნენ ამ წარმოდგენით. საჩქაროდ გამართულმა ფანჩატურმა ვერ დაიტია მაყურებელნი. კნ. ბარბარე თარხნიშვილისამ, ხსენებულის საზოგადოების წევრმა და ამ წარმოდგენის მოთავემ, ნაღდი შემოსავალი ჩააბარა ბოქაულს ბ-ნს გვარამაძეს დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. განზრახვა აქვსთ კიდევ რამდენიმე წარმოდგენა გამართონ იმავე საზოგადოების სასარგებლოდ.

⁂ ქუთაისიდგან გვწერენ, რომ დავით აღმაშენებლის საფლავი გელათის მონასტრის ბურჯში შესაფერად ვერ არის შენახულიო. მონასტერს ბევრი არა დაუჯდებოდარა, რომ რკინის მოაჯირი შემოევლო წმინდა გვამის საფლავისათვის და ზედ ბაზმა დაენთოო.

⁂ დ. ცხინვალი: ლიახვს გაღმა, ზღუდრის გვერდაში, ისეთი ვიწრო და გვერდა გზა არის, რომ ურემი ურემს რომ შეხვდეს, ერთმანეთს გზას ვერ აუქცევენ. ამასთანავე შედულებული კლდეებია ჩამოწოლილი შიგ გზაში და რამდენიმეც კიდევ აპირობს ჩამოწოლას და პატრონი-კი არავინა სჩანს ეს გზა შეაკეთოს, რომ შემდეგშიაც მაინც ხალხი ასცილდეს ამდენს წვალებასა და არც არა უბედურება დატრიალდეს. რა. აქ ყველას კარგად ახსოვს, რომ ამ გვერდაში ხალხით სავსე დილიჟანი დაქანდა. წინ დილიჟანს ფაიტონი მიუძღოდა და ამ ფაიტონს, რომელშიაც კნ. მაჩაბლისა იჯდა, დილიჟანი დაეჯახა. ის იყო უნდა გამოსთხოვებოდა წუთისოფელს მაჩაბლის სახლობა, რომ ძალიან სიმარდე არ გამოეჩინა და არ გადაეარღნილიყო. ღვთით, ეს-კი გადარჩა, მაგრამ დილიჟანში მსხომთ რომ საქმე დაემართათ, ის მტერსაც აშოროს ღმერთმა. გააქანეს დაგიჟებულმა ცხენებმა დილიჟანი და შიგ წყლის არხში ჩაამტვრიეს. წარმოიდგინეთ, დილიჟანი რომ ასე ჩაილეწა, ცხენებს და ხალხს რა მოუვიდოდა. აქ მე იმას აღარ ავწერ, ვინ როგორ დაზიანდა, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ მაშინდელი დაზიანებული თავები დღესაც ვეღარა თავობენ.

ამას შემდეგ იმავე გზამ ერთი საბრალო გლეხ-კაცი იმსხვერპლა და გამოასალმა ღარიბს ცოლ-შვილს. თურმე საწყალს ვიღაცა მიწას ათხრევინებდა; ჩამოწვა ეს შედულებული კლდე და გაისტუმრა საიქიოს. ამ გვარის ამბების მოწმები ვართ, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს. ეტყობა, სანამ ერთი ცხრა მაინც არ გამოეთხოვება ამ წუთი-სოფელს და სრულიად გზა არ შეიკვრება, ისე რომ მისვლა-მოსვლა შეუძლებელი გახდება, მანამ ყურსაც არავინ ათხოვებს.

⁂ იქიდამვე: ჩვენში გახურებული მკა არის და ალაგ-ალაგ ლეწვაც. ამინდებიც კარგი დაიჭირა. მხოლოდ ვენახები და ბაღები შეაწუხა. ამის მიზეზიც ის გახლავსთ, რომ წყალს ერთმანეთს რიგით არ აძლევენ. ყველა იმას ეშურება, მეც დღეს მოვერწყაო და იმანაცაო. გაჰყავთ თითო ბეწვა ნაკადული და ორის საათის საქმეს ორი-სამი დღე უნდებიან. ერთმანეთისათვის რომ ეცდათ და აცადონ, ყველას თავ-თავის დროზედ ერგებოდათ და აიცილებდნენ იმ ჩხუბსა და უსიამოვნებას, რომელიც დღეს ცხინვალის ზევითა და ქვეით სოფლებში სუფევს.

⁂ ჯავათიდგან გვწერენ, რომ მდ. მტკვარმა იმსხვერპლა ერთი ყმაწვილი სომეხი, რომელიც ნაზარბეგოვის ამხანაგობას ჰყოლია მუშად. საბრალო ტივიდგან გადავარდნილა და დამრჩვალა.

⁂ გაზეთი „Каспій“-ს შეუტყვია, რომ უფროსი ბაქოს წმ. ნინოს სასწავლებელისა, ქვრივი დეკანოზისა, მარიამ ანანიას ასული ჩუდეცკისა, სტოვებს ბაქოში სამსახურს და მიდის ყაზანში, სადაც ადგილობრივს არქიეპისკოპოზს პავლეს მიუცია იმისთვის სხვა ადგილი.

⁂ „მშაკში“ იბეჭდება ამ ჟამად შავშეთ-იმერხევის აღწერა (№№ 78, 80, 81 და განგრძელება იქნება). შავშეთ-იმერხევი მდებარეობს ართვინის ანუ ლივანის მაზრაში და დასახლებულია გამაჰმადიანებულ ქართველებით. მოზდილს სოფლებში სომხობაც არის. სასურველია, რომ ეს აღწერა შეუდარონ ბაქრაძისა და ყაზბეგის აღწერასა და, თუ რამ ღირს-შესანიშნავია, ქართულად ითარგმნოს.

⁂ „არძაგანკი“ გვაცნობებს, რომ ამ დღეებში როსტოვში გარდაიცვალა ერთი სომეხი ვაჭარი, აჯიმიანი, რომელსაც როსტოვის სატეხნიკო სასწავლებლისათვის სამასი ათასი მანათი უანდერძებია.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქართლი, 15 ივლისი. ქართლში, მეტადრე ფრონის ხეობაზე, უხვი მოსავალი მოვიდა წელს ჭირნახულისა. ამ ჟამად ყანები და ქერები სულ ჩაითიბა და ჩაიმკო. თიბვა და მკა წელს უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე შარშან. ამისი მიზეზი ის იყო, რომ გაზაფხული წვიმიანი დაუდგა და ჭირნახული გვიან შემოვიდა. მაგრამ, დადგა თუ არა დრო თიბვისა და მკვისა, არ გაუვლია ორ კვირას, რომ უზარმაზარი, თითქმის თვალ-გადუწვდენელი მინდვრები, მოფენილი ყანებით, სულ ძირს დაეცა ცელითა და ნამგლითა. საკვირველი იყო, სად გაჩნდა უეცრად იმოდენა ცელი და ნამგალი, იმოდენა მუშა ხალხი, რომ ისე უცბად წააქცია და ძირს დასცა ის ზღვა ჭირნახული.

ჩვენში უფრო მთიდამ ჩამოსული ოსები მუშაობდნენ. ოსი მუშა დიდს შეღავათს აძლევს ქართლს და დიდს სამსახურს უწევს ამ ქვეყანას მკათათვეში. ოსები რომ არ იყვნენ ასეთს მოსავლიანს წელიწადში, ნახევარი მინდორში ჩაიწოდა და ჩალპებოდა. თუმცა მუშა ძვირი იყო, მაგრამ გლეხ-კაცობა ფულს არა ჰზოგავდა, აძლევდა ნარდად ოსებს სამკალსა და სათიბს და ოსებიც გულ-მოდგინედ, უფრო ღამ-ღამობით, სცელავდნენ და აბელულებდნენ ყანა-ქერსა. მუშა ოსები დას-დასად იყვნენ დაყოფილნი. თითო დასში ხუთიდამ ოცამდე კაცი იყო ამხანაგად. დღიურად თითო ჰღირდა ათ შაურიდამ სამსა და სამს უზალთუნამდე ყანის პატრონის ჭამასმით. ნარდად-კი დღიურის გაცელვაში ოსები იღებდნენ ორის მანათიდგან ორსა-და-ათ შაურამდე. ერთმა მემამულემ გაათიბინა 60 დღის ხოდაბუნი ყანა 15 ოსს თორმეტ თუმნად. მემამულე ნარდად იყო გარიგებული და მუშებმა ორს დღესა და ღამეში გაათავეს სამუშაო.

ახლა კალოები იმართება. ზოგს სოფელში უკვე დაიწყეს ლეწვა შიგა და შიგ და ზოგში-კი ჯერ ისევ ჰზიდავენ მინდვრიდამ ძნა-ბულულასა. ოსები გაჰქრნენ ქართლში და გაეშურნენ თავიანთ გრილ მთებისაკენ. გლეხი-კაცი დარჩა თავისის თავისა და თავისს ხარ-კამეჩის ანაბრად. კალოს მუშა ძალიან ძვირადა ფასობს. 15 მანათს იძლევიან თვეში და კალოს მუშას ვერა შოულობენ. ვისაც მოუსწვრია და წინადვე დაუჭერია მოჯამაგირე თუმნადა და თორმეტ-ცამეტ მანათად, იმას კიდევ არა უშავს-რა და ვისაც დიდი სალეწი აქვს და მოჯამაგირე-კი საკმაო არა ჰყავს, ის დიდად შევიწროებულია.

ჩვენს მხარეში უფრო უხვად მოდის პური და ქერი, მეტადრე ქერსა აქვს წელს დიდი გამოსავალი. კარგ გაკეთებულს დღიურს ძველ თესლის ქერისას გამოსდის 25—30 კოდი, ანუ ასი—ას ოცი ფუთი, ახალის თესლისას 10—15 კოდი. გაზაფხულზედ ნაოშად დათესილს ქერსაც-კი გამოსდის 8—12 კოდი. პურს გამოსდის დღიურზედ 25—20 კოდი. ბევრია ჩვენში გლეხი, რომ 300—400 კოდს ქერს არ დასჯერდება წელსა. ვისაც 8—10 დღის ნახნავი ჰქონდა მხოლოდ, იმედი აქვს, რომ 150—200 კოდს ჭირნახულს ჩაჰყრის ორმოებსა და ამბრებში.

ასეთი უხვი, მოსავლიანი წელიწადი, როგორიც წელს არის, არ არის იშვიათი ჩვენში. იშვიათია, რომ ხუთექვსს წელიწადში ერთხელ მაინც არ მოვიდეს ასეთი წელიწადი. ამიტომ აქეთ განსაკუთრებით ხვნა-თესვას მისდევენ. სიმინდსაც სთესავენ და კარგ ფასებშიაც ისყიდება სიმინდი, მაგრამ სასიმინდე ადგილები ნაკლებად არის, ან საცაა, წყლის სიძვირეა, და ურწყავად-კი არ მოდის.

ვენახებს ნაკლებად მისდევენ. ერთად-ერთი სოფელი, საცა დიდი ვენახებია, მთელს ფრონის ხეობაზედ, არის სოფ. დირბი. ამ სოფელში ვენახებიც ბევრია და საკმაოდ უხვი მოსავალიც იცის. ამ გარემოების გამო ამ სოფელს ქართლში, ჩვენის ხეობის ახლო-მახლო, პატარა კახეთს ეძახიან. არის ისეთი ვენახები, რომელსაც ძლივს უჭირავს ნახევარი ანუ ერთის დღის მიწა, მაგრამ კარგს მოსავლიანს წელიწადში გამოსდის ამის თანა ვენახს 20—40 კოკა ღვინო, ანუ 240—280 თუნგი.

გრ. ფრონელი

◆◆

შენიშვნა გაზეთ „მწყემსის“ წერილის გამო (№ 8 და 9).

როგორც უკვე იციან მკითხველებმა, ამ წლის თებერვლის 16—22 რიცხვებში მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პავლეს მიერ დანიშნული იყო ქ. ტფილისში ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც უნდა განეხილა და თავისი აზრი წარმოეთქვა ეგზარხოსის მიერ დადგენილს კითხვებზედ. ამ კრებას სხვათა შორის უნდა ლაპარაკი ჰქონოდა საეკკლესიო საბუთების სისწორით და სინამდვილით წერასა და წარმოებაზე. არა-სისწორით და არა-სინამდვილით წერა და წარმოება საეკკლესიო საბუთებისა დამოკიდებულია სხვა-და-სხვა მიზეზზე, რომლის ასაცდენად ყოველმა მღვდელმა უნდა რამე საშუალება და ღონე იღონოს, რათა ასცდეს შეცდომას საეკკლესიო საბუთების წარმოებაში. საქმე იმაშია, თუ რაში უფრო მოსდით მღვდლებს შეცდომა და რა მიზეზით?

როგორც ჩვენ საქართველოში, აგრეთვე რუსეთშიაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ზოგიერთნი მონათლულნი და გარდაცვალებულნი არ არიან მღვდლისაგან ჩაწერილნი მეტრიკაში. ყველამ იცის, თუ რა დიდი წვალება და ხარჯი მოსდით სასულიერო სამმართველოებს, მღვდლებს და განსაკუთრებით იმათ, რომელნიც მეტრიკაში ჩაწერილნი არ არიან. ინიშნება კანტორისაგან გამოძიება, აფიცებენ თორმეტს კეთილ სინიდისიანს კაცს და რის წვალებით შეუდგენენ ხოლმე მეტრიკის მოწმობას იმათ, ვინც ჩაწერილნი არ არიან.

მღვდლები თუმცა კანონით (1038 ст. т IX Свод. зак., изд 1876 г.) ვალდებულნი არიან, ყოველი მღვდელ-

---

ლი არ წაუვიდა. შემოეხვივნენ „ადვოკატები“ და ურჩიეს საჩივრის გადატანა უმაღლესს სასამართლოში. ყოველი მათგანი დაჰპირდა ისეთ აპელლაციის დაწერას, რომელიც ქვასაც-კი გაჰხეთქდა.

წამოვიდა ილია შინ, მაგრამ მუხლები-კი ეკეცებოდა გზაზედ. შინ დახვდნენ გაწეწილი ცოლი და თავპირ ჩამოღადრული დედა, რომელთაც შეეტყოთ ილიას უბედურება იმის მისვლამდე. გადაიტანა ილიამ საჩივარი ოლქის სასამართლოში. თუმცა საჩივრის დამწერი არწმუნებდა ილიას, რომ იგი უეჭველად გამართლდებოდა ოლქის სასამართლოში, მაგრამ იმას აღარაფერი არა სჯეროდა-რა. დაკარგული ჰქონდა ყოველი იმედი გამართლებისა, ჩამოხმა საცოდავად დარდისაგან, გახდა გულ-ჩათხრობილი და აჰყარა საქმეს გული; მხოლოდ, რადგანაც ყანის მკა უყვარდა ძალიან, ყანის მკას-კი შეუდგა და არც უნდოდა მხად მოსული სარჩო დაეღუპნა. კულანდებურად თავისი ტოლი ბიჭები—მომკლები აღარ წაუყვანია, რომ „ებულრავნათ“ მკაში. იცოდა, რომ ბიჭები ქბას არ დააყენებდნენ და იმასკი გასაგონადაც ეჯავრებოდა სიმღერა. მარტო თვითონ დადიოდა ყანის სამკელად და ისე ჯაბრზედა მკიდა, თითქოს, ვისი ჯავრიცა სჭირდა, ყანაზედ ყრილობსო. დღეში ცხრასა და ათს ათეულს არ აცდენდა. დაბინავა ყველა მოსავალი, მაგრამ გუთანზე კი ფეხი არ გადგა. თავისი საყვარელი ხარები, რომელთაც მუჭით უგლეჯავდა ბალახს, საცა მოეწონებოდა, და ისე აჭმევდა, ჩაუგდო სხვას ხელში. სხვა საქმისათვისაც არ უხლია ხელი, ან იწვა და ეძინა და ან მარცხენა ხელის ცერი ქამარში ჰქონდა გაკეთებული, მარჯვენა ხელი უბეში ედო და ისე დადიოდა. თუ „სასოფლოზე“ გავიდოდა, გამარტოებული დაჯდებოდა ხოლმე—არავის ეკარებოდა. ყველა იმის მნახველს გული უკვდებოდა და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა შაქროს...

XV

შესრულება წადილისა

ახლად შებინდებულია. მამასახლისი ზის თავისს სასტუმრო ოთახში და რაღაცა მოუსვენრობა ეტყობა, ხან ადგება, ხან დაჯდება, ხან გარეთ გამოდის და თანაც პაპიროზს ეწევა.

—რაექნა, რა იქნა აქამდის! წამოიძახა მამასახლისმა, გამოვიდა გარეთ და დიდხანს იყურა ერთის მხარისაკენ. შაბრუნდა თუ არა შინ, შაქროც შაჰყვა და მიახალა პირში:

—ჩააბეს!

— მართლა? ჰკითხა მამასახლისმა: აი, შენ გიშველა ღმერთმა! სწორე გითხრა, მეშინოდა, არ გაანთავისუფლონ და ღმერთი არ გაუწყრეთ-მეთქი. მაშინ ხო დაიფუშებოდა ჩვენი პლანი!

— თუკი მაგრე გეშინოდა, რათ შაუმოწმე სოფლის მოწმობა?

— მე არა შამიმოწმებია-რა! მე შინ ვიყავი დამალული, როცა მოდიოდა ჩემთან, და ეუბნებოდნენ, შინ არ არიო. იმას გამოისობით, სხვებსაც არ ვეჩვენებოდი. უთოვოთ სუდიები შეუმოწმებდნენ. უშველა რამე იმან?

— ჰმ! რას ამობ, გადმოუგდეს, ეს ეხლა საჭირო აღარ არიო!

— ეხლა ჩვენ რა ვქნათ ჩვენი საქმისა? ჰკითხა მამასახლისმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— დაიცა ერთი, საქმე არა გაქვს? ლამის არი ქამარი დემქარგოს!

— ისეთი ვახშამი გაჭამო ამაღამ, რომ-რომ ღმერთისა!

— ცოტა ყველი და პური მაატანინე, ვახშმობამდინ ვინ გასძლებს!

— ჩაი მზათ არი. გოგო, ფეფე!—დაუყვირა მოახლეს:—ჩაი მაიტა!

— ჩაის ხარჯსაც არ გაგიფუჭებ! შენ რაც გითხარი, ის მოატანინე.

— გოგო, ფეფე, ყველი და პურიც გამოატანე.

— ჰა, როგორ დავიჭიროთ ეხლა საქმე?—ჰკითხა მამასახლისმა, როცა მიირთმევდნენ ჩაის:—თავი და თავი ქორი ხო მოვიშორეთ.

— ჰაი, დედასა!.. ვის შეუძლიან ჩემ ცოლს უწმაწურად ხმა გასცეს, მანამ მე ცოცხალი ვარო! ილოცხლოს და იყუროს რეშოტკიდამ, როცა იმის ცოლს... ამბობდა შაქრო და თან იყმინდებოდა ყველითა და პურით.

— მე რასა გკითხამ და შენ რას ამობ!

— რას ვამობ! ჯერ ერთი სამიოდოთხი დღე დავაცადოთ, მაიმგლოვონ. მერე დავიწყოთ ერთ ღამეს სიარული, მივიდეთ, შავამტვრიოთ კარები და...

— რა ამობ? გინდა აიქ ოქროულამ ცულით დაგვხოცოს! შენ კიდევ ვერ იცნობ იმას. ან ცულით დაგვხოცამს, ან არა-და ქვეყანას შაგვეყრის ერთიანად.

— მაშ რა ვქნათ?

— იმასაც უნდა მოუხერხოთ რამე, ან უნდა დავიყოლიოთ როგორმე.

— ილა მე დაელუპე, შენ კიდე ეგ უნდა მაიგდებინო თავიდამ; ეხლა შენი ჯერია, მე ჩემი ვალი მოვიშორე.

— მე ამაზე მეტი ვერა მამიგონია რა: უნდა გავაძრახო ვინმე, რო წაეკიდოს ოქროულას და იქამდინ მიიყვანოს, რომ ან დაჰკრას, ან გალანძღოს. მაშინ მე დავიბარებ, ან ნებით დავიყოლიებ, ან გომში დავამწყვდევ და მაშინ...

— რაც გინდა ქნ, უნდა მაისხლტუნო-კი თავიდამ-და!

ბევრი სხვა საშუალებაც დაასახელეს, მოწამვლაც-კი, ივახშმეს და და-

მოქმედება, რომელსაც-კი ისინი შეასრულებენ თავიანთს სამრევლოში, მაშინვე ჩასწერონ მეტრიკაში, მაგრამ ეს მუხლი კანონისა ყოველს მღვდელს არ შეუძლიან აღასრულოს ყველა ალაგას, ესე იგი მაშინვე ჩასწეროს თეთრს მეტრიკაში მონათლულები და მიცვალებულები სხვა და სხვა მიზეზისა და დაბრკოლების გამო, რომლებზედაც ქვეით მექნება ლაპარაკი. ეხლა მხოლოდ ვიტყვი, თუ როგორ და როდის ჩასწერენ ხოლმე მეტრიკაში საზოგადოდ ყველა მღვდლები განათლულთა და გარდაცვალებულთ.

ყველამ იცის, რომ სოფლებში ნათლობისა და მიცვალებულების მღვდელ-მოქმედებას მღვდლებს მომეტებულ ნაწილად აასრულებინებენ სახლებში და არა ეკკლესიაში, როგორც ეს კანონით არის დაწესებული. ამისთვის ერთს ნაწილს მღვდლებისას თან დააქვს შეკრული უდიანი რვეული, რომელშიაც სწერს ყველა მღვდელ-მოქმედებას ან წინდაწინვე და ან შესრულების შემდეგ, ზოგს უბის წიგნი აქვს თან და იმაში სწერს ყარანდაშით, ზოგი-კი პატარ-პატარა ბარათებზედ ჰნიშნავს განათლულებს და გარდაცვალებულებს და იდებს ჯიბეში. თუ მღვდელს დიდის ხნის გაცნობილი მრევლი ჰყავს, მაშინ იგი სულაც არაზედ ჰნიშნავს და ისე იხსომებს, ვინ მონათლა და ვის აუგო ანდერძი. გაივლის რამდენიმე დღე, ხან კვირაც და შემდეგ ამ რვეულებიდგან, უბის წიგნებიდგან და ბარათებიდგან გადააქვთ დანიშნულები ჯერ შავს მეტრიკაში და მერმე თეთრს მეტრიკას სწერენ. ხშირად მოხდება, რომ იმათ, რომლებიც ბარათებზე სწერენ, ეს პატარა ბარათები ჯიბიდგან ამოუვარდებათ ხოლმე და ეკარგებათ. ამის გამო ისინი, რომლებიც ამ ბარათებზედ იყვნენ დანიშნულნი, რჩებიან მეტრიკაში ჩაუწერელნი. აგრეთვე შესაძლოა, რომ იმ მღვდლებს, რომლებიც ზეპირად იხსომებენ, დაავიწყდეთ ჩაწერა. რადგან ზოგიერთი მღვდელი ხშირად გამოიცვლის ხოლმე მრევლს. ამისთვის ერთის მღვდლის შეცდომა მეორემ უნდა შეასწოროს.

ამ გარემოების შესახებ წლევანდელს კრებაზე მე ვსთქვი შემდეგი:

„ყველა ჩვენგანმა უკვე იცის, რომ ასში მოსანათლავ და გარდაცვალებულების მღვდელ-მოქმედებისას ოთხმოც-დაათს შინ სახლებში გვასრულებინებენ და ათს-კი ეკკლესიაში. მღვდელი რომ ყველა მღვდელ-მოქმედებას ეკკლესიაში ასრულებდეს, მაშინ იმას არავითარიმე შეცდომა მეტრიკაში არ მოუვა, რადგან ყოველთვის შეუძლიან იქვე ეკკლესიაში პირდაპირ ჩასწეროს, არამც თუ შავს მეტრიკაში, არამედ თეთრს მეტრიკაშიაც. ესეც ყველამ კარგად ვიცით, რომ შეცდომა მოსდის მღვდელს უფრო განათლულებისა და მიცვალებულების ჩაწერაში, რადგან მღვდელ-მოქმედებას ამ შემთხვევაში უფრო სახლებში ასრულებს, რადგანაც თეთრის მეტრიკის ტარება მოუხერხებელია ზოგიერთ მღვდელთათვის. ქორწინების მღვდელ-მოქმედების ჩაწერაში, ვგონებ, არავის მოუვა შეცდომა, რადგან ეკკლესიის გარეთ ამ მღვდელ-მოქმედებას არავინ ასრულებს გარდა იშვიათის შემთხვევისა. ამისთვის ქორწინების გაშვება მეტრიკაში იშვიათი შემთხვევაა, თუ-კი მღვდელმა განზრახ არ გაუშვა რაიმე მიზეზის გამო...

„ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ არც ერთი ქორწინება არ შესრულდება ისე, რომ წინდაწინვე იქვე ეკკლესიაში გამოკითხვა ქორწინებისა, ეგრედ წოდებული „ობისკის წიგნი“, არ შესდგეს, რომელშიაც უნდა ჩაიწერნენ მონაწილე მექორწინენი. ისიც ეჭვს გარეშეა, რომ არც ერთი მღვდელ-მოქმედება არ შესრულდება მღვდლისაგან, სადაც უნდა იყოს, „უკურთხევანოდ“. ამისათვის, ჩემის აზრით, უკეთესი იქნება, რომ ყველა მღვდელმა, მეტადრე სოფელში, ბარათების მაგივრად კურთხევანში ჩააკეროს რამდენიმე ფურცელი ქაღალდი და ის ჩაკერებული ორ ნაწილად გაჰყოს, პირველ ნაწილში ჩასწეროს განათლულები და მეორეში კი გარდაცვალებულები და როდესაც შინ დაბრუნდება, ან მაშინვე ჩასწეროს ნამდვილს მეტრიკაში, ან კიდევ მაშინ, როდესაც მოხერხებული დრო ექნება, რადგან მეტრიკა უნდა იწერებოდეს კარგად, ლამაზად და გარკვევით“.

როგორც მკითხველი ჰხედავს, მე აქ არაფერი ახალი წესი და საშუალება არა შემომიღია-რა; მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ იმ წესსა და საშუალებას, რომელსაც აქამდისინა ხმარობდნენ მღვდლები მეტრიკის დაწერაში, უფრო მეტი სინამდვილე და შეუცდომლობა ჰქონოდათ.

ახლა მკითხველების ყურადღებას მივაქცევ მ. დ. ღამბაშიძის სიტყვას, რომელიც ამავე კრებაზედ წარმოთქმული იყო და დაბეჭდილია გაზ. „მწყემსის“ №№ 8 და 9-ში. თავისს სიტყვაში მ. ღამბაშიძე ჰკიცხავს ყველა მღვდლებს: ყურადღებას არ აქცევენ იმისთანა საგნებს, რომელნიც მათ დაეხმარებიან თავიანთ მოვალეობის რიგიანად აღსრულებაში, რომ ამათ არ უნდათ რიგიანად შეისწავლონ თავიანთი მოვალეობა, არა ჰკითხულობენ იმ წიგნებს, რომლებშიაც და წვრილებით განმარტებულია, თუ როგორ უნდა ადგენდნენ ისინი საეკკლესიო საბუთებს და ან როგორ უნდა ასრულებდნენ თავიანთს მოვალეობასაო . . . ერთის სიტყვით, კიცხვასა და დაცინვას ბოლო არა აქვს. რისთვის? სულ იმისთვის, რომ მის მიერ შედგენილს წიგნზედ არც ერთმა დეპუტატმა კრებისამ ერთი სიტყვაც არა სთქვა მისდა სამწუხაროდ. ბოლოს, როდესაც მოთმინების ფიალა აევსო, მან წარმოსთქვა ზემოხსენებული სიტყვები მრისხანებით, რომელსაც უეჭველია ავსცდებოდით სემინარიელები, თუ რომ ვისმე ეხსენებინა იმისის წიგნის არსებობა ქვეყანაზედ: «1876 წელში ჩვენ შევადგინეთ ერთი პატარა სახელმძღვანელო წიგნი მღვდელთათვის, ამბობს მ. ღამბაშიძე თავის სიტყვაში. — ამ წიგნში ცხადად და გარკვევით არის განმარტებული, თუ როგორ უნდა აწარმოვოს მღვდელმა საეკკლესიო საბუთები, როგორ უნდა ჩასწეროს მეტრიკაში უკანონოდ დაბადებულნი და მარჩბივნი. ერთის სიტყვით, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, იმას უეჭველად ეცოდინება თავისის მოვალეობის მტკიცედ და რიგიანად აღსრულება. თუმც ამისთანა სასარგებლო წიგნი გამოვეცით, მაგრამ, როგორც დღეს შევიტყეთ, იმისი არსებობა ბევრს ჯერაც არ შეუტყვია. სწორედ მოგახსენოთ, საპატიებელი არ არის ამისთანა დანაშაულობა».

აბა მოვიტანოთ ეს მ. ღამბაშიძისაგან ნაქები წიგნი, გადავსინჯოთ და ვნახოთ, თუ რამდენად რიგიანად და მტკიცედ აასრულებს იმისი წამკითხველი მღვდელი თავისს მოვალეობას და ასცდება თუ არა ყოველს შეცდომას თავისს სამსახურში, და რამდენად საბუთიანია მ. ღამბაშიძის საყვედური სემინარიელებისადმი.

ბლ. მღ. ს. ლიაძე

(შემდეგი იქნება)

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ძრიელ უგულოდ და ცივად მიიღო ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ გერმანიის ელჩი, გენერალი ვინტერფელდი, რომელსაც ოფიციალურად უნდა ეუწყებინა დედოფლისათვის, რომ გერმანიის ტახტზე ავიდა თქვენი შვილის-შვილი ვილჰელმ II-ეო. როცა გენერალმა მოინდომა ნახვა დედოფლისა, გენერალს მოახსენეს, რომ მის უდიდებულესობას ჰსურს ეახლოთ სანახავად საერო ტანისამოსითაო. მეტი ღონე არ იყო, გენერალმა გაიხადა სამხედრო მუნდირი და საერო ტანისამოსი შეაკვეთინა. როცა შემდეგ გენერალი ეახლა დედოფლის ნახვას, დედოფალმა ცივად უთხრა დესპანს: „თქვენში ბევრი რამ შეიცვალა ამ ბოლოს დროს. მადლობას მოგახსენებთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთო“. ეს იყო და ეს. ამითი გათავდა აუდენცია. ზოგიერთი გაზეთები უფრო უცნაურად მოგვითხრობენ ამ ამბავს: როცა გენერალმა ვინტერფელდმა მიართვა მის უდიდებულესობას წერილი თავისის მონარხისა, დედოფალმა ცივად ჰკითხა დესპანს: „როდის აპირობთ უკან დაბრუნებასაო“?--თუ აღარას მიბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ, დაუყოვნებლივ გიახლებითო, უპასუხა თურმე პრუსიის გენერალმა.

— დოქტორმა გინცპეტერმა დაჰბეჭდა პატარა წიგნი იმპერატორ ვილჰელმ II ხასიათისა და ზნე-თვისებათა შესახებ. ბ-ნი დოქტორი გულ-ახდით და თამამად მოუთხრობს მკითხველს, რა ხასიათისაა იმისი გაზრდილი ახალგაზდა იმპერატორი. ჩემი გაზრდილიო, ამბობს დოქტორი, სხვის ფეხის ხმას არ აჰყვება ხოლმე და სხვის ლაპარაკსა და ჩაგონებას შორს იჭერსო. ამას გარდა სრულიად მოშორებულია პროტესტანტულს ფანატიკოსობასა და ჰირვეულობას სარწმუნოებაშიო. ეს ამბავი არ მოეწონათ ზოგიერთებს, მეტადრე იმათ, ვისაც ეგონათ, რომ ყრმა იმპერატორს ჩვენის სურვილისამებრ ვამოქმედებთო. ამბობენ, რომ გინცპეტერმა თავისით არ დაჰბეჭდა თავისი წიგნი და ნებართვა სთხოვა თვით იმპერატორსაო. ახალგაზდა იმპერატორმაც ნება დართო და თავადვე გადკითხა ზოგიერთი ადგილები წიგნისაო. ნება დართო იმ აზრით, რომ გაეფანტა ის რწმუნება, რომელიც გაავრცელეს იმპერატორის შესახებ ზოგიერთმა მეტად ერთგულმა მისმა თაყვანის მცემლებმა და რომელსაც შეეძლო შეერყია ნდობა და სიყვარული ტახტისა ერშიო.

◆◆

წვრილი ამბები

ამერიკის ფსიხოლოგები ეხლა თვალყურს ადევნებენ ერთს ბრმასა და ყრუ 7 წლის ქალს, ელენე კელლერს, რომელსაც, მისსულივანის წყალობით, უსწავლია კითხვა, წერა, არითმეტიკა და ეხლა გეოგრაფიასა სწავლობს. ამ საგანს იგი შეხების შემწეობითა სწავლობს თურმე.

— შეერთებულს შტატებში ზედლარდს სხვა-და-სხვა სასწავლებლის შეგირდების მეხსიერება გამოუცდია და ემაწვილებისათვის ერთი და იგივე აზრები განუმეორებინებია. ან ათიოდე შეგირდს ამოირჩევდა ხოლმე ზედლარდი, ერთ გვარის ცოდნისას და ერთ გვარად ნასწავლს, წაუკითხავდა ერთ-ერთს აზრს და რამდენისამე ხნის შემდეგ უნდა გაემეორებინათ; ან ათში ერთს ეტყოდა რომელსამე წინადადებას და იმას მეორესათვის უნდა გარდაეცა სიტყვა-სიტყვით, მეორეს—მესამისათვის და ასე ბოლომდე. ამ გვარად ერთის მეორესთან გადაცემის დროს ისე მახინჯდებოდა ზოგიერთი აზრი, რომ ვერ იცნობდა თურმე ადამიანი. ამ ცდამ აშკარად დაამტკიცა, როგორ იცვლის გარეგანს სახეს ყველა მოთხრობა და ამბავი, რომელიც თხუთმეტს პირში გამოვლილი.

— ოპერის მომღერლებად ეხლა თითქმის სულ... დალაქები ხდებიან. ცნობილია, რომ გამოჩენილი მომღერალი კაპული სიყმაწვილეში დალაქი იყო. თუმცა იგი ჰფარავდა თავისს ხელობას, მაგრამ მაინცვი იმით დაამტკიცა დალაქობის ცოდნა, რომ თმის სხვა ნაირად დავარცხნა მოიგონა, რომელსაც ეხლაც ეძახიან „ა-ლა კაპულს“. ამას წინად ბერლინის თეატრის დირექტორმა

იძინეს იქავე. მეორე დილით შაქრო თავისს სახლში წავიდა, მამასახლისი-კი სასოფლოზედ გამოვიდა, უნდოდა გაეგო ხალხის აზრი ილას დატუსაღებაზედ. სასოფლოზე ათიოდე კაცის მეტი არ დახვდა მამასახლისს, რადგანაც საქმის დღე იყო.

— საწყალ ოქროულას ი რა მოჰსვლია! წამოიძახა ერთმა, თითქოს მამასახლისს უნდა შეატყობინოს ახალი ამბავიო.

— რა?—ჰკითხა მეორემ:—ილა რო დაატუსაღეს?

— ილაც ხომ დაატუსაღეს და ოქროულასაც ბოლმა ჩამოჰწოლია გულზე და კვდება. წუხელ ღვდელმა აზიარა. ამბობენ, აღარ გადარჩებაო.

ამ სიტყვებზედ მამასახლისს სიხარულისაგან გულმა ძგერა დაუწყო. მერე, ვითომ-და არაფერი იცოდაო, ჰკითხა:

— განა დაუჭერიათ ილია?

— დიახ, გუშინვე დაუტუსაღებიათ.

— ოოვე, საწყალი! ძალათ არ გაიფუჭა თავი საწყალმა,—სთქვა მამასახლისმა.

— ძალათ, ძალათ, მე და ჩემა ღმერთმა!

— არა, რა რჯიდა იმ უკეთურს? მშიერ თავადიშვილთან რომ იმეებსა ლაპარაკობდა, არ იცოდა, რო ისე უზამდა? წარმოსთქვა ისევ მამასახლისმა.

მამასახლისი დარწმუნდა, რომ იმაზედ ეჭვი არაფრისა არა ჰქონდათ, და, გულ-გახალევათებული, დაბრუნდა შინ.

ოქროულამ ვერ გაუძლო ელდას და სწორედ იმას სწორზედ, რა დღესაც ილა დაატუსაღეს, გამოასვენეს სახლიდამ დასასაფლავებლად. პირველი მოთადარიკე და სარისტის მიმცემი ქელეხში მამასახლისი იყო. ყოველის ღონის-ძიებითა სცდილობდა, დაემტკიცებინა მაროსათვის თავისი გულ-შემატკივრობა, მაგრამ მოქმედება მამასახლისისა მხოლოდ უორკეცებდა მაროს მწუხარებასა.

— წამო, შვილო, და შინ წაგიყვან! უთხრა მაროს მამამ, როცა გაათავეს ქელეხი, მანამდის გამოუშვებენ იქ იყავ და, როცა გამოუშვებენ, ისევ მე მოგიყვან.

— აბა, რა ექნა, მამილო, როგორ დავანებო აქაურობას თავი? მოსავალი კიდე კარზეა მომდგარი, სად წამოვიდე? ან კიდე ვინ რას იტყვის, რო შვიდამდინ მაინც არ მოვიცადო და კარზე გამოვიდე?

— ეს დრო რო არ იყოს, ყოველთვინ მოგხედამდით, მაგრამ ეხლა ჩვენც საქმე გვაქვს, ჩვენ შენთვინ ვეღარ მოვიცლით და მარტო როგორ უნდა იყო უკაცო სახლში, ან რა უნდა გააწყო? უთხრა დედამ.

— რა ექნა, რაც იქნება, იქნება! ჩემი დედამთილი უფრო უწყალოდ დარჩომილა, მაგრამ საქმე საქმეზე მოუყვანია. მე ხო ისე საქმე არა მაქვ ჯერ გამხდარი.

გამოეთხოვნენ დედ-მამა, ნათესავები და წავიდნენ. დარჩა მარო მარტოდ-მარტო.

მეორეხე საღამოს შაქრომ გაიარა ერთ თავისს ნაყმევის სახლ-წინ, გამოუძახა ნაყმევს და უთხრა:

— შენ გოგოს ოქროულას რძალთან ნუ აწვევ ღამე, თორემ ძალიან ინანებო.

რა-კი ესეთი დამუქრება შაქროს მიერ გავრცელდა ხალხში, ველარავინ გაბედა ღამ-ღამე მაროსთან დაწოლა ამხანაგად.

ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა და მაროს-კი შიშისაგან ძილი ჰქონდა გამფრთხალი, ვიღაცამ კარი დაუკაკუნა. მაროს ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო, მაგრამ შიშისაგან-კი სული შეუგუბდა ყელში. დაუკაკუნა მეორედ, მესამედ. მარომ მოიკრიბა, როგორც იყო, ძალი და ღონე და ხმის კანკალით დაუძახა:

— ვინა ხარ, რას აკაკუნებ მა კარებს?

— კარი გააღე! მოესმა გარედამ.

— რიჰთვინ უნდა გავაღო, ა შუა ღამისას აქ რა ხელი გაქვ?

— გააღე და ვინცა ვარ, გაიგებ!

— გაჰწი, წეეთრიევე, საიდამაც მოჰთრეულხარ, შე ასეთ-ისეთო, თორე მთელს ქვეყანას შენზე შავყრი!

— ბევრს ნუ ჰლაპარაკობ, კარი გააღე, თუ ჭკვა გაქვ, თორემ ინანებ!

— აბა, არ გავაღებ, ერთი რასა იქ?..

ამ სიტყვების შემდეგ კარებმა ჭაჭუნი დაიწყო. მარომ-კი მორთო ყვირილი:

— ვინა ხართ ქრისტიანები, მიშველეთ! ყვირილზედ გამოვარდა ახლო მეზობელი კაცი.

— ჰაი, ჰაი, რა იყო, მარიკო, რა მოგივიდა?

— მამამთილო, მიშველე, ვიღაცანი მოთრეულან და კარებს ამტვრევენ!

— დათიავ, რატო შენთვინ არ დაჰდგებ! ეხლა შენ ჭკვა გაქვს, რო მაგოდენასა ჰყვირი? კაცმა იცნო ხმა და მაშინვე შებრუნდა შინ.

კარები შეამტვრიეს და შევიდნენ არხეინად. საბრალო მაროს კივილი ცასა სწვდებოდა, მაგრამ მიშველება ვერავინ გაბედა. ეს კივილი მაროსაგან პირველი და უკანასკნელი იყო. შემდეგში აღარავის გაუგონია იმისგან კივილი.

მელანია

(შემდეგი იქნება)

ენგელმა ბერლინის ერთს სადალაქოში იპოვნა ერთი დალაქი, იოსებ ბენნეტი, რომელსაც საოცრად კარგი ხმა ჰქონდა. დირექტორმა მასწავლებლები დაუჭირა, იტალიაში გაჰგზავნა და ზრდილობასაც თითონ ასწავლიდა. ბენნეტს პირველში არ უნდოდა თურმე დალაქობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ენგელს დაუმორჩილებია. უთქვამს, რომ ეხლა თუ ორიოდე გროშს გაჩუქებ ხოლმე მეტს, ვითარცა დალაქს, მაშინ დიდძალს ფულს მოგცემ ყოველს წარმოდგენაზეო. ენგელი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოუსწრო ენახა, დალაქმა მართლა გამოიჩინა მღერის ნიჭი, თუ არა.

მეორე ნიჭიერმა დალაქმა, რომელსაც კარგი ხმა ჰქონდა, ვარშავში იჩინა თავი. ამ დალაქის გვარი პუკლერია. იგი რამდენისამე წლის განმავლობაში არხეინად ჰპარსავდა, ჰკრეჭდა და თმას ახუჭუჭებდა და გუმანიც-კი არა ჰქონდა აღებული, თუ რა სიმდიდრე იყო იმისი ხმა. ერთმა მცოდნემ შემთხვევით ყური მოჰკრა თურმე ამ კაცის სიმღერას და მაშინვე გამოაცხადა, რომ პუკლერს საოცარი ხმა აქვსო. ამ დალაქს მაშინვე შემოეხვივნენ რამდენიმე ვარშაველი ქალი და თავიანთის ხარჯით იტალიაში გაჰგზავნეს, რათა ხმა გაევარჯიშებინა.

მესამე ნიჭიერი დალაქი პარიჟში აღმოჩნდა. ეს-კი სულ ყმაწვილი კაცია, თვრამეტის წლისა იქნება. იგი ყმაწვილობიდგანვე მოწადინებული იყო არტისტად გახდომას, მაგრამ ვერაფრით მოახერხა და ამიტომ თეატრის დალაქს დაუდგა მოჯამაგირედ. ორის წლის განმავლობაში გულ-მოდგინედ ჰმუშაობდა ამ დალაქის დუქანში, ხოლო ერთხელ თეატრში გაჰგზავნა ოსტატმა სამუშაოდ. მივიდა თუ არა თეატრში, ყმაწვილმა კაცმა დაინახა, რომ რეპეტიცია ჰქონდათ, თავი ვეღარ შეიმაგრა და უეცრად... შეჰმღერა. იმის ხმას მაშინვე მიაქცია ყურადღება ორკესტრის უფროსმა და ხელმძღვანელმა და ეხლა ფულს აგროვებს, რათა ნიჭიერს დალაქს არტისტობა ასწავლონ და მღერაში გაწვრთნან.

◆◆

დეპეშა

18 ივლისი

კიევი. დღესასწაული დაასრულეს იმით, რომ მდინარე დნეპრის ნაპირებზე სეირნობა გამართეს. მთები და ქალაქის მიდამო ჩირაღდნებით იყო განათებული. სეირნობამ კარგად ჩაიარა. მდინარეზე მრავალი გემი იდგა. წმ. ვლადიმირის ძეგლი, მთები და ნავთ-სადგური სულ ერთიანად განათებული იყო. გემებზე მუსიკა უკრავდა. როდესაც გემი ნაპირთან მიეიდოდა, მაშინვე ჰიმნის გალობას დაიწყებდნენ. ჰიმნს შემდეგ „ურა“ დასძახეს.

რუსეთის მირონ-ღების 900-ის წლის დღესასწაულის გამო გულჩის, ზალესიის და ურევენის ჩეხებმა მართლმადიდებლობა მიიღეს.

კოპენჰაგენი. დღეს იქ მოვიდა გერმანიის იმპერატორი. იმას მიეგებნენ მეფე და წევრნი სამეფო გვარისანი.

19 ივლისი

პარიჟი. მადნებში მომუშავეთა შორის აშლილობა, რომელსაც პირველში განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციეს, უეცრად გაძლიერდა. გუშინ აშლილობაში მონაწილე მუშები პოლიციელებს დაეცნენ და არეულობის დასამშვიდებლად ჯარის საქმეში ჩარევა აღმოჩნდა საჭიროდ.

კოპენჰაგენი. გუშინ, გამოფენაზედ წასვლისა და იქიდგან დაბრუნების დროს, იმპერატორს ვილჰელმს საზოგადოება დიდის აღტაცებით და თანაგრძნობით უხვდებოდა. საპარადო სადილზე მეფემ მადლობა გარდაუხადა იმპერატორს მობრძანებისათვის და დალია იმპერატორისა და იმისის გვარეულობის სადღეგრძელო; იმპერატორმაც პასუხად სადღეგრძელოვე დალია მეფისა და მეფის გვარეულობისა. ორივე სადღეგრძელო გერმანულად წარმოითქვა. შუაღამის შემდეგ იმპერატორი მეფითა და პრინცებითურთ წაბრძანდა თავისს იახტაზედ, რომელიც დღეს დილას გავიდა ზღვაზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივლისი

	მყიდველისა.		გამყიდველისა.		გაყიდულისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	„	—	„	8	65
ტამოჟნის კუპონები . .	—	„	—	„	173	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	33
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	—	„
—მეორისა	—	„	—	„	—	„
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

20 დღე ოთხშაბათი. წმ. წინასწარმეტყველის ილიასი. კათოლ. წინ-მეტყ. ილიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—54, ჩადის 7—18. მთვარე 24 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3 »
„ 2 „	2½ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2—	3½ „
„ „ 3 „	3 „
ჯვარის მამის პურის ლავაში	„
1-ლის ხარისხისა . .	5
მე-2 ხარისხისა . .	4
მე-3 — . . .	„ „
ძროხის ხორცი . . .	8 „
„ 2 „	7 „
სუკი . . .	14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
ღორის ხორცი . . .	„ „
„ 2 „	„ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, **№ 101.**

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათი.	წამი.	საათი.	წამი.		საათი.	წამი.	საათი.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი .	—	—	8	49	ბათუმი . .	—	—	8	4
ავჭალა . .	9	9	9	11	ქობულეთი.	8	54	8	57
მცხეთა. . .	9	32	9	40	ნატანები. .	9	25	9	29
ქსანი . . .	10	03	10	05	სუფსა . . .	9	55	10	2
კასპი . . .	10	33	10	36	ლანჩხუთი .	10	35	10	39
გრაკალი . .	0	59	11	1	ნიგოითი. .	10	51	10	53
გორი . . .	11	25	11	40	საჯავახო. .	11	14	11	16
ქარელი . .	12	08	12	11	**სამტრედია.**	11	33	11	51
გომი . . .	12	37	12	41	კოპიტნარი .	12	13	12	16
ხაშური . .	11	02	1	17	**რიონი.** . .	12	47	1	2
სურამი . .	1	29	1	32	აჯამეთი . .	1	15	1	18
ფონი. . .	2	—	2	03	**ყვირილა.** .	1	58	2	10
ბეჟათუბანი.	2	56	3	16	ძირულა . .	2	48	2	50
მარელისი .	3	45	3	48	ბელაგორი .	3	17	3	20
ბელაგორი .	4	15	4	18	მარელისი .	3	47	3	49
ძირულა . .	4	45	4	48	**ბეჟათუბანი.**	4	18	4	37
ყვირილა. .	5	26	5	40	ფონი . . .	5	30	5	34
აჯამეთი . .	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი. . .	6	2	6	5
რიონი . .	6	29	6	44	**ხაშური** . .	6	17	6	32
კოპიტნარი .	7	08	7	10	გომი . . .	6	50	6	54
სამტრედია.	7	29	7	49	ქარელი . .	7	16	7	19
საჯავახო. .	8	05	8	07	**გორი** . . .	7	44	7	54
ნიგოითი. .	8	27	8	30	გრაკალი . .	8	15	8	17
ლანჩხუთი .	8	42	8	46	კასპი . . .	8	40	8	43
სუფსა . . .	9	19	9	27	ქსანი. . . .	9	7	9	9
ნატანები. .	9	52	9	55	მცხეთა . .	9	28	9	34
ქობულეთი.	10	22	10	25	ავჭალა . .	9	52	9	54
ბათუმი . .	11	13	—	—	**ტფილისი** .	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დილით					ღამით			
ტფილისი .	—	—	3	21	სურამი . .	—	—	2	59
ავჭალა . .	3	46	3	49	**ხაშური** . .	3	11	3	27
მცხეთა . .	4	19	4	25	გომი . . .	3	50	3	55
ქსანი . . .	4	49	4	52	ქარელი . .	4	24	4	31
კასპი . . .	5	24	5	29	**გორი** . . .	5	4	5	19
გრაკალი. .	6	—	6	3	გრაკალი. .	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი . . .	6	31	6	45	კასპი . . .	6	18	6	24
ქარელი . .	7	18	7	24	ქსანი . . .	6	55	6	59
გომი . . .	7	53	8	1	მცხეთა. . .	7	24	7	32
ხაშური . .	8	54	8	38	ავჭალა . .	7	55	7	58
სურამი . .	8	50	—	—	**ტფილისი** .	8	24	—	—

ხმარება მხოლოდ
კელერის ზეთისა და ფხვნილისა
შინაურის თითბრისა და სპილენძის ავეჯის გასაწმენდად (მაგალითებრ: სამოვრებისა, კლიტეებისა და სხ.) უფრო **საუკეთესო** სახსარია, ვიდრე სხვა ამ გვარი რომელიმე საშუალება.
ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—**რ. კელერთანა და ამხ.**, ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—1 (ც.)

ცნობათა უმთავრესი კანტორა
შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელიც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც ზალოგი აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ-გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქიროს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ საერო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთ საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი, ანუ სხვა საქმე: მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზების და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურ. ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ.

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
თავის მოვლა
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—28)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდლად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან	„	40
ხუთი ამბავი, სუმეზენდორ ამბავი. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ	„	15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. ჭიჭინაძისა . . .	„	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა I წიგ. . .	1	50
II წიგ. . .	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესხიშვილისა	„	15
ფშავის ლექსები, ვაჟ. „ივერიის“ გამოცემა . . .	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ.	„	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოცემა	„	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოც. . .	3	„

სამღვთელო წიგნი კასტეგ

Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე